განკარგულება - N 20.582.735
5 / ივნისი / 2020 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის

შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და სს „თიბისი ბანკს" შორის 2018 წლის 20 ივნისს გაფორმებული საბანკო მომსახურების ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1 პუნქტით გათვალისწინებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება ყოველი მომდევნო 1 (ერთი) წლით (მაგრამ არაუმეტეს 2021 წლის 20ივნისამდე), მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

სს „თიბისი ბანკის" 2020 წლის 19 მაისის N 131/102/-01 (მერიაში რეგისტრაციის N10/01201411862-11) წერილით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ეცნობა, რომ ბანკი ვერ აგრძელებს ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით მომსახურებას და ვერ ადასტურებს ხელშეკრულების გაგრძელებას მომდევნო 1 (ერთი) წლის ვადით.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევი საკონკურსო კომისიისა და სამდივნოს შექმნის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N20.531.679 განკარგულებით შეიქმნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევი საკონკურსო კომისია (შემდგომში - კომისია) და კომისიის სამდივნო.

კომისიამ შეიმუშავა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის ჩასატარებლად საჭირო დოკუმენტების პაკეტი, რომელიც დანართების სახით ერთვის განკარგულებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ეროვნული ვალუტის ანგარიშზე არსებული ნაშთის სრულ მოცულობაზე დასარიცხი წლიური მაღალი საპროცენტო სარგებლის მიღების, ანგარიშების მართვისა და ოპერაციების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშებიდან თანხის გადარიცხვისა და სხვა ოპერაციების შეუფერხებელი და ხარისხიანი მომსახურების განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 75-ე მუხლის „ა.დ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული „საბანკო მომსახურების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და სს „თიბისი ბანკს" შორის 2018 წლის 20 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების 2020 წლის 20 ივნისიდან შეწყვეტის საკითხი.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ეროვნული ვალუტის ანგარიშზე არსებული ნაშთის სრულ მოცულობაზე დასარიცხი წლიური მაღალი საპროცენტო სარგებლის მიღების, ანგარიშების მართვისა და ოპერაციების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშებიდან თანხის გადარიცხვისა და სხვა ოპერაციების შეუფერხებელი და ხარისხიანი მომსახურების განხორციელების მიზნით, გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსი.

3. კონკურსის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 12 ივნისი 12:00 საათი. კონკურსის ჩატარების ადგილი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა, მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7, მე-20 სართული.

4. კონკურსში მონაწილეობისათვის სავალდებულო დოკუმენტების მიღება განხორციელდეს 2020 წლის 8 ივნისიდან 2020 წლის 10 ივნისის ჩათვლით, მისამართზე: ქალაქ თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7, მე-12 სართული, ოთახი N1204, ტელ: 032 237 84 93, 577 157 057.

5. კონკურსის სრულყოფილად ჩატარების მიზნით დამტკიცდეს:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი (დანართი N1);

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობები (დანართი N2);

გ) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების სარეგისტრაციო ფორმა (დანართი N3);

დ) ,,მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის შესახებ" განცხადების ფორმა (დანართი N4);

ე) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესაჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" განცხადების ფორმა (დანართი N5)

ვ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსზე გამოცხადებულ პრეტენდენტთა სარეგისტრაციო ფორმა (დანართი N6).

6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს სფეროს კურატორ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს(ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

7. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე

დანართი N1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ეს წესი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) ჩატარების წესსა(შემდგომში - წესი) და პირობებს.

მუხლის 2. საკონკურსო კომისიის მიზანი და ამოცანები

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ეროვნული ვალუტის ანგარიშზე არსებულ ნაშთის სრულ მოცულობაზე დასარიცხი წლიური მაღალი საპროცენტო სარგებლის გადამხდელის, ანგარიშების მართვისა და ოპერაციების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშიდან თანხის გადარიცხვისა და სხვა ოპერაციების შეუფერხებელი და ხარისხიანი მომსახურების განმახორციელებელი მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსს ატარებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის (შემდგომში - მთავრობა) განკარგულებით შექმნილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევი საკონკურსო კომისია (შემდგომში - კომისია).
2. კომისიის ამოცანაა, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნის განსახორციელებლად კონკურსის ჩატარება, საუკეთესო წინადადების (როგორც ნაშთის საპროცენტო განაკვეთის კუთხით, ასევე, კონკურსის სხვა პირობებით (დანართი N2) განსაზღვრული მომსახურებების) წარმდგენი საბანკო დაწესებულების გამოვლენა და მთავრობისთვის რეკომენდაციის წარდგენა.

მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსი ცხადდება საჯაროდ. საჯაროდ გამოცხადებაში იგულისხმება საკონკურსო განცხადების განთავსება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე: www.tbilisi.gov.ge.
2. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულისა, შეიძლება კომისიის მიერ წერილობით ეცნობოს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ საბანკო დაწესებულებებს.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობა

1. პრეტენდენტი შეიძლება იყოს ნებისმიერი საბანკო დაწესებულება, რომელიც ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და აკმაყოფილებს ამ წესის მოთხოვნებს.
2. საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირის ან მისი წარმომადგენლის (შემდგომში - პრეტენდენტი), რომელმაც კომისიის სამდივნოში, მოთხოვნილ ვადაში სრულყოფილად წარმოადგინა ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და გაიარა რეგისტრაცია, კონკურსის პროცესზე დასწრება ჩაითვლება კონკურსში მონაწილეობად.
3. კონკურსი ჩატარდება ერთ ტურად.

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

1. საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის მიღება განხორციელდება მთავრობის განკარგულებით განსაზღვრულ დღეებში. საბუთების მიღება კომისიის სამდივნოში იწარმოებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.

2. პრეტენდენტის მიერ კონკურსში მონაწილეობაზე განცხადება და სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტაცია თარგმნილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე და დამოწმებული სანოტარო წესით.

3. პრეტენდენტმა კონკურსში მონაწილეობაზე განცხადება და სავალდებულო დოკუმენტაცია უნდა შეიტანოს კომისიის სამდივნოში.

4. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის შესახებ ლიცენზიის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

გ) ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან, რომ საბანკო დაწესებულება არ იმყოფება დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმში;

დ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ე) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;

ვ) საკონკურსო პირობების შესრულების უზრუნველყოფის ორთვიანი უპირობო გამოუთხოვადი წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც ბანკი იღებს ვალდებულებას კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადების შემდეგ ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის შემთხვევაში გადარიცხოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სახაზინო ანგარიშზე 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი;

ზ) საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირის ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობის შემთხვევაში, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი);

თ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს კონკურსის პირობებს (დანართი N2), ყველა გვერდი უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც კომისიის სამდივნოს ბარდება დალუქული ფორმით. პრეტენდენტი შეზღუდული არ არის დადგენილზე უკეთესი პირობა შესთავაზოს კომისიას. პრეტენდენტს არ აქვს უფლება დადგენილი პირობები გააუარესოს.

5. სამდივნო ამოწმებს წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას ამ მუხლის მე-4 პუნქტით მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან. სრულყოფილ დოკუმენტაციას ატარებს სპეციალურ სარეგისტრაციო ფორმაში და იბარებს, ხოლო პრეტენდენტს აძლევს მიღების ბარათს.

6. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ – „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კომისიის სამდივნოს წარმომადგენელი უთითებს პრეტენდენტს გამოვლენილ ხარვეზზე და აძლევს არანაკლებ ერთი სამუშაო დღის ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ხარვეზის დათქმულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში პრეტენდენტი კარგავს კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლებას.

7. საკონკურსო დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის (დედანი) ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით. პრეტენდენტი სრულად აგებს პასუხს მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობაზე.

8. კონკურსში მონაწილეობისათვის სავალდებულო დოკუმენტების მისაღებად გამოცხადებული ვადის ამოწურვის შემდეგ სამდივნო წყვეტს დოკუმენტების მიღებას.

9. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების მიღების ვადის გაგრძელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მთავრობას კომისიის შუამდგომლობით.

10. მიღებული დოკუმენტები და სარეგისტრაციო ფორმა კონკურსის დაწყებამდე ინახება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარესთან.

მუხლი 6. კონკურსის ჩატარების წესი

1. კონკურსი ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ერთი პრეტენდენტი მაინც.

2. კომისიის წევრები და პრეტენდენტები ცხადდებიან მთავრობის განკარგულებით განსაზღვრულ დროსა და ადგილას. პრეტენდენტები კონკურსის დაწყებამდე გაივლიან რეგისტრაციას კომისიის სამდივნოში.

3. პრეტენდენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა თან უნდა იქონიოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი).

4. კომისიის სამდივნო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე ამოწმებს პრეტენდენტის წარმომადგენლის უფლებამოსილებას მიიღოს მონაწილეობა კონკურსში.

5. რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ კომისიის სამდივნო კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს შემოსული განცხადებების ოდენობისა და კონკურსის დღეს რეგისტრაციაგავლილი (გამოცხადებული) პრეტენდენტების შესახებ ინფორმაციას.

6. კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა არანაკლებ ნახევარი.

7. კომისიის სხდომას ხსნის და დახურულად აცხადებს კომისიის თავმჯდომარე.

8. სარეგისტრაციო ფორმაში აღნიშნული რიგითობის მიხედვით კომისიის თავმჯდომარე კომისიას წარუდგენს პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას.

9. კომისია აფასებს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შესაბამისობას კონკურსის დადგენილ პირობებთან. წარმოდგენილ წინადადებაში კონკურსის პირობებთან რომელიმე პუნქტ(ებ)ის შეუსაბამისობისას (ტექნიკური ხარვეზის ან სხვა შემთხვევაში), კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია პრეტენდენტის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა მოიყვანოს შესაბამისობაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის შემდეგ ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას დამაკმაყოფილებელია თუ არადამაკმაყოფილებელია პრეტენდენტის საკონკურსო წინადადება. არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში პრეტენდენტი კარგავს კონკურსში მონაწილეობის უფლებას. თუ კონკურსში მონაწილე ყველა პრეტენდენტის საკონკურსო წინადადება შეფასდა არადამაკმაყოფილებლად, მაშინ კონკურსი ცხადდება ჩაშლილად.

10. კომისიის თავმჯდომარე, პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტაციის კომისიაზე განხილვის შემდეგ, კონკურსის მონაწილეებს გააცნობს ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის წარმომდგენ კონკურსანტს და რიგითობის მიხედვით (ყველაზე მცირე საპროცენტო განაკვეთის წარმომდგენიდან ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის წარმომდგენამდე)

სთავაზობს გააკეთონ განაცხადი საპროცენტო სარგებლის განაკვეთის გაზრდის შესახებ. ბოლო განაცხადს აკეთებს ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის წარმომდგენი პრეტენდენტი.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ გაზარდონ მათ მიერ კომისიაზე წარმოდგენილი პირვანდელი წინადადება შეზღუდვის გარეშე (არანაკლებ 0,01% ბიჯით), მაგრამ ის უნდა იყოს კონკურსში მონაწილეთა მიერ გაცხადებულ ბოლო წინადადებაზე უმჯობესი.

12. კონკურსში ერთი პრეტენდენტის არსებობისას კომისია პრეტენდენტის თანდასწრებით სწავლობს მის მიერ წარმოდგენილ წინადადებას ერთობლიობაში (როგორც ნაშთზე დასარიცხი სარგებლის, ასევე კონკურსის სხვა პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნების მიმართულებით), რის შემდეგ პრეტენდენტს აძლევს შესაძლებლობას დამატებით გააუმჯობესოს შემოთავაზებული წინადადება. წინადადების მიღების დასრულების შემდეგ კომისია იღებს გადაწყვეტილებას.

მუხლი 7. გამარჯვებულის გამოვლენა და ხელშეკრულების გაფორმება

1. გამარჯვებულად გამოცხადდება ის პრეტენდენტი, რომელიც კომისიას შესთავაზებს, სხვებთან შედარებით, უკეთეს პირობებს დანართი N2-ში მოთხოვნილ პირობებთან დაკავშირებით.

2. კომისიის სხდომებზე და კონკურსის შედეგებზე, კონკურსის ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 დღისა, დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი და კომისიის სხდომის მდივანი. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, თუ ხმები თანაბრად გაიყო, მაშინ გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება კომისიის წევრს შეუძლია გამოთქვას კომისიის სხდომაზე, რომელიც აისახება კომისიის საოქმო გადაწყვეტილებაში.

3. კონკურსზე საუკეთესო წინადადების წარმომდგენი ბანკის გამოვლენის შესახებ კომისიის სხდომის ოქმის შედგენიდან არაუგვიანეს 2 დღისა კომისია რეკომენდაციით მიმართავს მთავრობას, რომელიც არაუგვიანეს 7 დღისა იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

4. მთავრობის გადაწყვეტილებით გამოვლენილ გამარჯვებულთან, არაუგვიანეს 5 დღისა, უნდა გაფორმდეს საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება.

5. თუ კომისიის მიერ ვერ იქნება გამოვლენილი საუკეთესო წინადადების წარმომდგენი ან კონკურსში არცერთმა პრეტენდენტმა არ მიიღო მონაწილეობა, ან მთავრობის მიერ არ იქნა გაზიარებული კომისიის რეკომენდაცია, მთავრობის განკარგულებით შესაძლოა გამოცხადდეს განმეორებითი კონკურსი მომსახურე ბანკის შესარჩევად, ამ წესის შესაბამისად.

6. კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილ პრეტენდენტთან, ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით, კონკურსის პირობების გათვალისწინებით, შესაძლებელია მოლაპარაკებების გამართვა ხელშეკრულების ხელმოწერამდე.

7. მთავრობის გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ. საჯაროდ გამოცახადებაში იგულისხმება შედეგების განთავსება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე: www.tbilisi.gov.ge-ზე.

8. თუ გამარჯვებული უარს იტყვის ხელშეკრულების გაფორმებაზე ან სხვა შემთხვევაში, როდესაც ვერ მოხდება გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმება, კონკურსის გამარჯვებულად ცხადდება შემდგომი საუკეთესო წინადადების წარმომდგენი პრეტენდენტი ან ტარდება განმეორებითი კონკურსი.

მუხლი 8. საკონკურსო დოკუმენტების შენახვის წესი

პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, კონკურსის ჩატარებიდან 3 წლის ვადით, ინახება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურში.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. წესს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს მთავრობა განკარგულებით.
2. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობები

1. კონკურსის საგანი

1.1. კონკურსის საგანია: **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის *ეროვნული ვალუტის ანგარიშზე არსებული ნაშთის სრულ მოცულობაზე დასარიცხი წლიური საპროცენტო სარგებლის განსაზღვრა.***

1.2. საპროცენტო სარგებელი - რეფინანსირების განაკვეთს დამატებული საპროცენტო განაკვეთი.

1.3. გამარჯვებული საბანკო დაწესებულება იღებს ვალდებულებას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს გაუწიოს ხარისხიანი საბანკო მომსახურება ამ დოკუმენტით გათვალისწინებული პირობების და საბანკო დაწესებულების მიერ დამატებით შემოთავაზებული მომსახურების შესაბამისად.

1.4. თავისუფალი ნაშთის სახსრებზე შესაძლო მაქსიმალური საპროცენტო სარგებლის მისაღებად თვითმმართველი ერთეულის ლეგიტიმური ინტერესიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია იტოვებს უფლებას, თავისუფალი ნაშთის ნაწილზე საბანკო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმოს კონკურსში გამარჯვებულის გარდა კონკურსში მონაწილე სხვა საბანკო დაწესებულებებთან, თუ კონკურსის პირობებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნება თავისუფალი ნაშთის ნაწილზე გამარჯვებული ბანკისგან განსხვავებული უკეთესი საპროცენტო სარგებლის დარიცხვის შემოთავაზება.

2. საბანკო მომსახურება

2.1. ანგარიშის გახსნის, ფულადი სახსრების გადარიცხვის, ოვერდრაფტის და სხვა საბანკო ოპერაციები:

მულტისავალუტო ანგარიშების გახსნა - უფასო;

ნაღდი თანხის შემოტანა ანგარიშზე - უფასო;

საბანკო ანგარიშებიდან ნაღდი თანხის გატანა ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში სერვის ცენტრებიდან, ფილიალებიდან და ბანკომატებიდან - უფასო;

თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში, როგორც ბანკის სისტემაში, ისე ბანკის სისტემის გარეთ - უფასო;

თანხის გადარიცხვა უცხოურ ვალუტაში, როგორც ბანკის სისტემაში, ისე ბანკის სისტემის გარეთ - უფასო;

პროცენტის კაპიტალიზაცია უნდა მოხდეს ყოველთვიურად თვის ბოლო რიცხვში.

ვალუტის დაზიანებული კუპიურის შეცვლა - უფასო;

ვალუტის გაცვლითი ოპერაციები (კონვერტაციის საკომისიო) - 0 %;

ამონაწერის მიღება - უფასო;

დაუმოწმებელი დოკუმენტური აკრედიტივის გახსნა - უფასო.

2.2. დისტანციური საბანკო მომსახურება (ორგანიზაციისათვის და თანამშრომლებისათვის):

ინტერნეტ ბანკის პროგრამაში რეგისტრაცია - უფასო;
ინტერნეტ ბანკის პროგრამაში მომსახურება - უფასო;
ინტერნეტ ბანკით აქტიური ოპერაციების წარმოება - უფასო;
ინტერნეტ ბანკით მერიის პასიური ოპერაციების წარმოება - უფასო;
თანამშრომელთათვის SMS ბანკი: რეგისტრაცია - უფასო;
თანამშრომელთათვის SMS ბანკი: მომსახურება - უფასო;
ონლაინ გადახდები: რეგისტრაცია - უფასო;
ონლაინ გადახდები: მომსახურება - უფასო;
მუდმივი საგადასახადო დავალება: რეგისტრაცია - უფასო;
მუდმივი საგადასახადო დავალება: მომსახურება - უფასო;
ავტომატური გადახდები: რეგისტრაცია - უფასო;
ავტომატური გადახდები: მომსახურება - უფასო.

2.3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური და სპორტის პროგრამებიდან დაფინანსებულ ბენეფიციართა მომსახურება:

ბენეფიციართა ანგარიშების გახსნა და მომსახურება 2020 წლის 1 ივლისიდან;
ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა 40 000.
ანგარიშის გახსნა - უფასო;
პლასტიკური ბარათის მოქმედების ვადა - არანაკლებ 2 წელი;
პლასტიკური ბარათის დამზადებისა და მომსახურების ღირებულება - უფასო;
მინიმალური ნაშთი არ მოითხოვება;
ბარათის დამზადება ვადის გასვლის შემდეგ - უფასო;
განაღდების საკომისიო საკუთარ ბანკომატებში - უფასო;
განაღდების საკომისიო საკუთარ სერვის ცენტრებში - უფასო;
განაღდების საკომისიო პარტნიორი ბანკების ბანკომატებში - უფასო;
დაკარგული ან დაზიანებული ბარათის აღდგენა - უფასო;
ანგარიშის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო - უფასო.

2.4. თანამშრომელთა სახელფასო პროგრამით მომსახურება:

2.4.1. საერთაშორისო პლასტიკური ბარათის გადაცემა თანამშრომელთათვის:
- რიგით თანამშრომლებს - VISA/MASTERCARD CLASSIC;
- სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს, გამგებლებსა და საკრებულოს წევრებს - VISA/MASTERCARD GOLD;
- მერს, ვიცე-მერს და მერის მოადგილეებს, საკრებულოს თავმჯდომარეს და მოადგილეებს - VISA/MASTERCARD PLATINUM;
2.4.2. ბანკთან შეთანხმებით შესაძლოა ცალკეულ თანამშრომლებს დაუმზადდეთ ზემოთ აღნიშნული ან/და განსხვავებული ტიპის პლასტიკური ბარათები.
ანგარიშის გახსნა - უფასო;
პლასტიკური ბარათის მოქმედების ვადა - არანაკლებ 3 წელი;

პლასტიკური ბარათის დამზადებისა და მომსახურების ღირებულება - უფასო;
მინიმალური ნაშთი არ მოითხოვება;
ბარათის დამზადება ვადის გასვლის შემდეგ - უფასო;
დამატებითი ანგარიშის ვალუტა (ეროვნული ვალუტა, აშშ დოლარი, ევრო, ბრიტანეთის ფუნტ სტერლინგი);
მინიმალური ნაშთი - არ მოეთხოვება;
განაღდების დღიური ლიმიტი: ბანკომატიდან - არანაკლებ 1500 ლარისა, სერვის ცენტრიდან - ულიმიტო;
ყიდვის (ხარჯვის) დღიური ლიმიტი - ლიმიტის გარეშე;
განაღდების საკომისიო საკუთარ ბანკომატებში - უფასო;
განაღდების საკომისიო საკუთარ სერვის ცენტრებში - უფასო;
განაღდების საკომისიო პარტნიორი ბანკების ბანკომატებში - უფასო;
განაღდების საკომისიო POS ტერმინალებისა და იმპრინტერების მეშვეობით - უფასო;
ლოკალურ სტოპ-სიაში შეტანა - უფასო;
საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანა - არაუმეტეს 20 აშშ დოლარი;
დაკარგული ან დაზიანებული ბარათის აღდგენა - უფასო;
საკომისიო განაკვეთი სავაჭრო ობიექტებში - საკომისიოს გარეშე;
ანგარიშის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო - უფასო;
სხვა მომსახურება - სატელეფონო ცენტრის მომსახურება - 24 საათის განმავლობაში - უფასო.
2.4.3. თანამშრომელი თავისუფალია სახელფასო პროგრამაში ჩართვის გადაწყვეტილებაში.

3. სხვა პირობები

3.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველ საბანკო დაწესებულებას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული უნდა ქონდეს ჯამურად არანაკლებ 15 ფილიალისა ან/და სერვის ცენტრისა;

3.2. კონკურსში გამარჯვებულის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა გამარჯვებული აფორმებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან ხელშეკრულებას საბანკო მომსახურების შესახებ;

3.3. გამარჯვებული იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობებში, წინასწარ შეთანხმებულ და შერჩეულ ადგილებზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განათავსოს არანაკლებ 15 ბანკომატი, აგრეთვე ერთი სერვის ცენტრი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (ქალაქ თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7). 15 (თხუთმეტი) ბანკომატისა და 1 (ერთი) სერვისცენტრის განთავსების ფართის საიჯარო ქირა წელიწადში შეადგენს არანაკლებ - 19 452,00 (ცხრამეტი ათას ოთხას ორმოცდათორმეტი) ლარს, რომელიც დაზუსტდება საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების დროისთვის არსებული პირობებით.

3.4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლით. ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის შემდეგ ხელშეკრულება ჩაითვლება ავტომატურად გაგრძელებულად 12 (თორმეტი) თვით იმავე პირობებით, თუ რომელიმე მხარე ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე არ განაცხადებს ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილების თაობაზე.

3.5. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელი იქნება:
- მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

- ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;

-საქართველოს კანონმდებლობით და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

3.6. ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიტანება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

3.7. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის შესათავაზებელი მომსახურების პაკეტი, რომელიც განხილულ იქნება კომისიის მიერ.

3.8. გამარჯვებული იღებს ვალდებულებას საბანკო მომსახურების არანაკლებ იგივე პირობებით გაუწიოს მომსახურება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებსა და 50 %-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, მათ მიერ სურვილის გამოთქმის შემთხვევაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების სარეგისტრაციო ფურცელი

N								

დანართი N4

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე
ბანკის შესარჩევი საკონკურსო კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ გაიოზ თალაკვაძეს

განცხადება

(მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის შესახებ)

გთხოვთ, მოგვცეთ უფლება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის 2020 წლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა მიიღოს:

სს _____

(ბანკის დასახელება)

საიდენტიფიკაციო კოდი: _____; ტელ: _____;

მისამართი:
_____;

ელ-მისამართი:
_____;

საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირი (<u>წარმომადგენელი</u>):
_____

(სახელი, გვარი

უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი)

საკონტაქტო ტელ: _____; ელ-ფოსტა:
_____

_____

(წარმომადგენელის შემთხვევაში დამადასტურებელი დოკუმენტი, თანამდებობა და საკონტაქტო მონაცემები)

ხელმოწერა: **თარიღი:**

დანართი N5

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
ქალაქ თბილისის მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის „ „ ივნისის N_____ განკარგულების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა აცხადებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსს.

კონკურსის საგანია: **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის *ეროვნული ვალუტის ანგარიშზე არსებული ნაშთის სრულ მოცულობაზე დასარიცხი წლიური საპროცენტო სარგებლის განსაზღვრა.***

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ საბანკო დაწესებულებებმა, რომლებიც საკონკურსო კომისიის სამდივნოში წარმოადგენენ კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებას და საკონკურსო დოკუმენტაციას.

1. კონკურსის ჩატარების თარიღი განისაზღვროს 2020 წლის 12 ივნისი; კონკურსის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა, მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7, მე-20 სართული.

2. კონკურსის ჩატარების ზოგადი პირობები:

ა) საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის მიღება განხორციელდება 2020 წლის 8 ივნისიდან 2020 წლის 10 ივნისის ჩათვლით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი. ჟ. შარტავას ქ. N7, მე-12 სართული, ოთახი 1204, ტელ: 032 237 84 93, 577 15 70 57.

ბ) საბუთების მიღება საკონკურსო კომისიის სამდივნოში იწარმოებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.

3. პრეტენდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის შესახებ ლიცენზიის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ბ) ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან, რომ საბანკო დაწესებულება არ იმყოფება დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმში;

გ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

დ) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;

ე) საკონკურსო პირობების შესრულების უზრუნველყოფის ორთვიანი უპირობო გამოუთხოვადი წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც ბანკი იღებს ვალდებულებას კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადების შემდეგ ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის შემთხვევაში გადარიცხოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სახაზინო ანგარიშზე 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი;

ვ) საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირის ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობის შემთხვევაში, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი);

ზ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს კონკურსის პირობებს (დანართი N2), რომლის ყველა გვერდი უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და კომისიის სამდივნოს ჩაბარდეს დალუქული ფორმით. პრეტენდენტი შეზღუდული არ არის კონკურსის პირობებით დადგენილზე უკეთესი პირობა შესთავაზოს საკონკურსო კომისიას. პრეტენდენტს არ აქვს უფლება დადგენილი პირობები გააუარესოს.

4. პრეტენდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის (დედანის) სახით ან ნოტარიულად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამოწმებული ასლის სახით.

5. პრეტენდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო ენაზე. უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

6. პრეტენდენტი კონკურსზე დაიშვება კომისიის სამდივნოში განცხადებისა და დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში სრულად წარმოდგენისა და რეგისტრაციის შემთხვევაში.

7. კონკურსი ჩატარებულად ჩაითვლება, თუ ერთი მონაწილე მაინც მიიღებს კონკურსში მონაწილეობას.

8. კონკურსი ჩატარდება ერთ ტურად.

9. კონკურსის შედეგები გამოცხადდება საჯაროდ - ვებ-გვერდზე - www.tbilisi.gov.ge-ზე.

შენიშვნა: პრეტენდენტი სრულიად აგებს პასუხს მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობაზე.

დანართი N6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსზე გამოცხადებულ პრეტენდენტთა სარეგისტრაციო ფორმა

N	დასახელება	წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი	წარმომადგენლის ხელმოწერა	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა	თარიღი საათი

კომისიის თავმჯდომარის
ხელმოწერა: